

## თავი 17 ბიძია სემტა

ჯონათანი სადღესასწაულო კარავთან რომ დაბრუნდა, უკვე გამოემუშავებინა ორმოცდაათ კეინზე მეტი. ქალი ძალიან კმაყოფილი იყო, რომ იპოვა ადამიანი, რომელიც სამუშაოს სერიოზულად ეკიდებოდა. ამიტომ სთხოვა, მეორე სადამოსაც მისულიყო. ჯონათანი შეპირდა, რომ, თუ შეძლებდა, მივიდოდა. შემდეგ დატოვა შოუ, რათა ღამის გასათევი ადგილი მოეძებნა. წარმოდგენა არ ჰქონდა რა უნდა გაეკეთებინა, ასე რომ, უაზროდ დაეხეტებოდა ქალაქში. ღამპიონების მკრთალ შუქზე ცოტა ხნით შეჩერდა და სწორედ ამ დროს დაბალი, პიჯამაში გამოწყობილი მოხუცი კაცი მიმდებარე სახლის აივანზე გამოვიდა. მან თვალები მოჭუტა და ერთ რიგად ჩამწკრივებული სახლების სახურავებს გადახედა.

ჯონათანმა ცნობისმოყვარედ ჰკითხა:

– რას უყურებთ?

– იმ სახლის სახურავს, – ჩაიხურჩულა კაცმა და სიბნელისკენ მიანიშნა.

– ხედავ იმ მსუქან ტიპს, რომელსაც წითელი, ლურჯი და თეთრი ტანსაცმელი აცვია? მისი მონაგარის ჩანთა თითოეული სახლის მონახულების შემდეგ საგრძნობლად მძიმდება.

ჯონათანმა მითითებული მიმართულებით გაიხედა. ჩრდილებში ბუნდოვნად მოჩანდა ადამიანის ფიგურა, რომელიც ერთ-ერთი სახლის სახურავზე მიცოცავდა.

– კი, ვხედავ... რატომ დამანახეთ? რატომ არ ატეხთ განგაშს და გააფრთხილებთ იქ მცხოვრებ ადამიანს.

– ამას არასდროს გავაკეთებ, – კაცი შიშის ძრწოლამ აიტანა, – ბიძია სემტას ავი ზნე აქვს და მკაცრად უსწორდება მათ, ვინც წინ გადაეღობება.

– იცნობთ მას? – გაიკვირვა ჯონათანმა, – კი, მაგრამ...

– ჩუ, ასე ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ, – თქვა მოხუცმა და თითი ტუჩებთან მიიტანა, – ბიძია სემტა დამატებით ესტუმრება ხოლმე მათ, ვინც ხმაურს ტეხს. უმრავლესობა თავს იკატუნებს, რომ ამ საშინელ ღამეს ღრმად სძინავს, თუმცა, შეუძლებელია, მსგავსი სტუმრობა ვერ შენიშნო.

ჯონათანი შეეცადა უფრო ჩუმად ელაპარაკა და კაცის ყურისკენ დაიხარა.

– ვერ მივხვდი. რატომ ხუჭავთ თვალს ყველა მაშინ, როდესაც ის ღიად გპარცვავთ?!

– აპრილის ამ განსაკუთრებულ ღამეს ადამიანები ხმას არ იღებენ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიძია სემტა მათთან შობის ღამეს რომ დაბრუნდება, სათამაშოებსა და საჩუქრებს აღარ მოუტანს და დღესასწაულს ჩაუშხამებს.

– ოჰ, – თქვა ჯონათანმა და შვებით ამოისუნთქა, – ანუ ბიძია სემტა ყველაფერს უკან აბრუნებს?

– არა მგონია, მაგრამ ხალხს მაინც ასე სჯერა. ვცდილობ, ფხიზლად ვიყო, რათა ზუსტად დავინახო, რას წაიღებს და რას დააბრუნებს. შეიძლება ითქვას, ეს ჩემი ჰობია. ჩემი გამოთვლებით, ბიძია სემტა დიდ ნაწილს თავისთვის იტოვებს და, ამასთანავე, რამდენიმე გამორჩეულ ოჯახსაც უწილადებს, – თქვა მოხუცმა და იმედგაცრუებულმა მოაჯირს დაჰკრა ხელი, – ასეა თუ ისე, ბიძია სემტას მცირეოდენი საჩუქარი მაინც ყველასთვის მოაქვს, რომ გული არავის დასწყვიტოს. ამიტომაც არის რომ მომავალ აპრილშიც ყველა მძინარედ მოაჩვენებს მას თავს.

– ვერ გავიგე, – თქვა ჯონათანმა, – რატომ არ ფხიზლობს ხალხი და განაცხადი არ შეაქვს პოლიციაში. ამ მოქმედებით ხომ ისინი საკუთარ ნივთებს შეინარჩუნებენ?! თანაც შეეძლება, იყიდონ ყველაფერი, რაც მოესურვებათ და აჩუქონ იმათ, ვისაც უნდათ.

მოხუცმა კაცმა ჩაიხითხითა და ჯონათანის გულუბრყვილობაზე თავი გააქნია.

– ბიძია სემტა, რეალურად, ყველა ადამიანის ბავშვობის ფანტაზიაა. მშობლები ყოველთვის ასწავლიდნენ შვილებს, რომ ბიძია სემტას სათამაშოები და საჩუქრები ციდან ჯადოსნობით და უსასყიდლოდ ცვიოდა.

მოსუცმა ჯონათანის გაოცებული სახე შენიშნა და უთხრა:

– მგონი, დღეს ცუდი დღე გქონდა არა, შვილო.

– ღამის გასათევ ადგილს ვეძებდი, – მორცხვად უპასუხა ჯონათანმა.

– კარგი ბიჭი ჩანხარ, დარჩი ჩვენთან. სახლში მხოლოდ მე და როუზი ვცხოვრობთ.

ჯონათანმა მოხუცი კაცის მიპატიუება მიიღო და უკან გაჰყვა. შესვლისთანავე მისი ცოლი – როუზი გაიცნო. ქალმა მაშინვე ერთი ჭიქა ცხელი შოკოლადი და ერთი თეფში ახლად გამომცხვარი ნამცხვარი მიუტანა. მალე ჯონათანმა უკანასკნელი ნამცეციც შეჭამა და დივანზე წამოწვა, სადაც ცოლ-ქმარმა საბანი და ბალიში დაუგო. მოხუცმა კაცმა გრძელი ჩიბუხი გააღვივა და მოძრავი სკამის სახურგეს მიეყრდნო.

სახლი პატარა იყო, სადაც მდიდრულ და ახალ ავეჯს ვერ შეამჩნევდით, მაგრამ დადლილი უცხო ახალგაზრდა კაცისთვის ნამდვილი სამოთხე იყო. ბუხარში პატარა ცეცხლი გიზგიზებდა და ხეში გაწყობილ ოთახს ანათებდა. კედელზე დაკიდებული ორი ჩარჩოდან, ერთში საოჯახო პორტრეტს, მეორეში კი – გენეალოგიურ შტოს დაინახავდით. უბრალო ხის იატაკზე ფუმფულა, ოვალური ხალხია ეფინა. ჯონათანი კომფორტულად მოეწყო და იკითხა:

– აპრილის ღამის ტრადიცია როგორ დაიწყო?

– დღესასწაულს ვაწყობდით ხოლმე, რომელსაც „ქრისტეშობას“ ვეძახდით, ეს წლის საუკეთესო დროა. რელიგიური დღესასწაული იყო და ერთმანეთს საჩუქრებს ვჩუქნიდით მხიარულების აღსანიშნავად. ყველას იმდენად მოსწონდა, რომ ლორდთა საბჭომ მიიჩნია, შეუძლებელი იყო, ამ დღესასწაულის აღნიშვნა ქაოსურად და დაუგეგმავად მხოლოდ ხალხისთვის მიენდო. ამიტომ თავის თავზე აიღეს მისი „სწორად“ ორგანიზება.

კაცის სარკასტულ ტონში უკმაყოფილება იგრძნობოდა:

– პირველ რიგში, მათ აღმოფხვრეს შეუსაბამო რელიგიური სიმბოლიზმის ნიშნები. ლორდებმა ოფიციალურად შეცვალეს დღესასწაულის სახელი და მას „შობა“ დაარქვეს; პოპულარულ მითიურ მესაჩუქრეს „ბიბია სემტა“ შეარქვეს, რომელიც გადასახის ამკრეფის ფორმაში იქნებოდა გამოწყობილი.

მოხუცი კაცი ცოტა ხანს გაჩუმდა, რომ რამდენიმე დრმა ნაფაზი დაერტყა და ჩიბუხი თამბაქოთი გაავსო. შემდეგ კი განაგრძო:

– საშობაო გადასახადის ფორმებს სამ ეგზემპლარად წარუდგენენ კეთილი ნების ბიუროს, რომელიც ლორდთა მიერ ჩამოყალიბებული ფორმულის საფუძველზე განსაზღვრავს თითოეული გადამხდელის გულუხვობას. შენ წლიური გადასახადის აკრეფის მოწმე ხარ.

– შემდეგ მოდის ზნეობის ბიურო. ზნეობის აღრიცხვის ოფიცრის დახმარებით, ყველა ადამიანი ავსებს ფორმას, სადაც დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი მთელი წლის განმავლობაში მისი კარგი და ცუდი ქცევა. ზნეობის ბიუროში მოხელეთა და გამომძიებელთა მთელი არმია მუშაობს, რომ დააზუსტონ, ეკუთვნით თუ არა იმ ადამიანებს დეკემბერში საჩუქრები, რომლებმაც მოთხოვნა შეიტანეს საჩუქრების მიღებაზე.

– ბოლოს კი, სწორი გემოვნების კომისია სტანდარტულ ზომებს, ფერებსა და დასაშვები საჩუქრების სტილს აწესებს. ისინი მხოლოდ „სწორი“ პოლიტიკური ორიენტაციის მქონე წინასწარ შერჩეულ მწარმოებლებს უპირობოდ უფორმებენ კონტრაქტებს. შედეგად, ყველა ოჯახი, დისკრიმინაციის გარეშე, მთავრობისგან სახლების მოსართავად ზუსტად ერთნაირ სადღესასწაულო მოსართავებს იღებს. შობაზე სადღესასწაულო სიმღერების შესასრულებლად პოლიციას იძახებენ.

თავგადასაველების ახალგაზრდა მაძიებელს ჩაეძინა. მოხუცმა ჯონათანს მხრებზე საბანი მიაფარა, გარედან კატის კნავილი გაისმა. როუზმა წაიხურჩულა:

– შობას გილოცავ!